№ 50. 6 მარტი, სამშაბათი. 1866—1884 6 მარტი, სამშაბათი. № 50.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

«დროების» რედაქცია —სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაჭაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ; 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ; 1 თ.—1 მ.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე [illegible] — განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და [illegible]-ზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ-უნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკ.

«დროება» თითო ნომრობით იყიდება თბილისს გარდა:

ქუთაისში—ჭილაძის წიგნის მაღაზიაში,

ბათუმში—ალიბეგოვის მაღაზიაში, ზღვის პირზედ,

გორში—საზოგადოების დეპოში,

ხაშურში—რკინი-გზის ბუფეთში—ძნელაძესთან.

**გორის მაზრის მხმარებელთა საზოგადოების გამგეობა უცხადებს ბ.ბ. საზოგადოების წევრთა, რომ 18 მარტს გორის ქალაქის გამგეობის დარბაზში იქნება ჩვეულებრივი კრება განსახილველად წლიური ანგარიშისა და საზოგადოების შემდეგი მოქმედებისა. (6—2)**

## შინაური ქრონიკა

—— გაზ. «კავკაზ»-ში ამოვიკითხეთ ამერიკანელი მოქალაქის, ბ. ტვედელის ახალი პროექტი, რომელიც მას წარუდგენია მთავრობისთვის შესახებ ნავთის გასაყვანი მილებისა. მაგრამ რადგან «კავკაზს» ამ საგანზე არა ჰქონია ნამდვილი ცნობები, ამიტომ ჩვენ საჭიროდ დავინახეთ მათი შესწორება. «კავკაზი» ამბობს, ვითომც ბ. ტვედელს უნდოდეს ორი მილის გაყვანა: ბაქოდამ ბათუმში და პეტროვსკიდამ ვლადიკავკაზში. ნამდვილად კი ბ. ტვედელის პროექტი მეტად გასაოცარია თვისის თავისებურობით, გაბედულობით და იმ მნიშვნელობით, რომელიც ექნება მის ასრულებას. ბაქოდამ ბათუმში მილების გაყვანას საზოგადოებამ დიდი ხანია მიაჩვია ყური, რადგან ეს სურვილი წინად გამოაცხადა ბ. ლისტმა. ამ ახალი პროექტის ძალა კი იმაშია, რომ ბ. ტვედელსა ჰქონია სახეში გაიყვანოს მხოლოდ ერთი მილი ბაქოდამ პეტროვსკზე და იქიდამ უნდა შემოატაროს მთელი ჩრდილოეთის კავკასია; ეს მილი გადასჭრის როსტოვისა და ვლადიკავკაზის რკინიგზას პროხლადნის სტანციაზე, საიდამაც გასწევს დასავლეთისკენ მინდორ-მინდორ, ბოლოს ხელ-ახლად დაიწევს სამხრეთისკენ, გადასჭრის კავკასიონის დიდს ქედსა და გავა სოხუმში.

აქედამ სჩანს პროექტის დიდი გაბედულობა. ეხლა ჯერ არ ვილაპარაკებთ ჩვენ ამ ნაირი ნავთის გამტარებელი მილების მნიშვნელობაზე. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ სახით, ნავთის მილი ერთის გზობით გაიტანს ბაქოს სიმდიდრეს, ნავთს, როგორც ამიერ კავკასიაში, აგრეთვე იმიერ კავკასიაშიც და, მაშასადამე, თვით რუსეთში და უცხოეთში.

ამასთანავე, როგორც გავიგონეთ, ბ. ტვედელი ამბობს თავის პროექტში, რომ დაუწმენდავი ნავთის ფუთის გადატანა თვით სოხუმამდის ეღირება მხოლოდ **8 კაპეიკი** და დაწმენდილი ნავთისა კი **12 კაპეიკით**; მაშინ—როდესაც ეხლა რკინი-გზით მიტანა ნავთისა ბათუმში ჯდება ფუთი თითქმის **ერთი აბაზი.**

ამ ცნობებს ჩვენ შეგვიძლიან დავუმატოთ აგრეთვე ის საყურადღებო გარემოება, რომ ბ. ტვედელი ამ პროექტის ასასრულებლად არამცთუ არა თხოულობს არაფერს პრივილეგიას, ანუ სუბსიდიას, როგორც მიაჩვიეს ჩვენი მთავრობა სხვა-და-სხვა კონცესიონერებმა და გამოზიდეს ხაზინის ფულები თითქმის ტომრობით, არა, ბ. ტვედელი ამ მხრივ შესანიშნავი უინტერესობა გამოუჩენია და არ კი ელირიჯება მთავრობას ფულებზე, პირიქითა ჰპირდება მას, რომ თვით იმ სახელმწიფო ადგილებსაც კი შეისყიდის ხაზინისაგან, რომლებზედაც გაივლის მისი ნავთის მილი.

გარდა ამისა, კიდევ ბევრს რასმესა ჰპირდება მთავრობას ბ. ტვედელი თვით საქმის ასრულებით, მაგრამ იმათზე დაწვრილებით ჩვენ შევატყობინებთ საზოგადოებას შემდეგში.

—— ბ. ტვედელის პროექტთან ერთად, ჩვენ მოგვყავს ბ. ინჟინერი სტრუვეს წინადადება, რომელიც იმან მისცა ტეხნიკურს საზოგადოებას, 25 თებერვლის კრებაზე. ბ. სტრუვეს აზრით, ბაქოსა და ბათუმის რკინიგზა მხოლოდ მაშინ დააკმაყოფილებს თავის დანიშნულებას, როდესაც იგი გადაიტანს ბაქოდგან ბათუმში იმდენ ნავთსა, რამდენიც საჭიროა ევროპისა და რუსეთისათვის. ბ. სტრუვეს ზედ მიწევნითი ანგარიშით ეხლა ევროპასა და რუსეთს მოუნდებათ თავიანთ საჭიროების დასაკმაყოფილებელად სულ უკანასკნელი წელიწადში **17—18** მილიონი ფუთი ნავთი. ჩვენს რკინიგზას კი შეუძლიან გადაიტანოს წელიწადში მხოლოდ **3,600,000** ფუთი სიმძიმე, მეტი ვერა. მაშასადამე, იგი სრულებით ვერ აკმაყოფილებს თავის უპირველესს დანიშნულებას. ბ. სტრუვეს სიტყვით, **17—18** მილიონი ფუთის გასატანად საჭიროა გზამ მოიპოვოს კიდევ **990** ვაგონი ცისტერნი, ნავთის ჩასასხმელი, და **58** ლოკომოტივი. ამ მომატებას, რასაკვირველია, მოუნდება ჯეროვანი მოსამსახურეების გამრავლება, ასე რომ ჩვენის ანგარიშით, გზის კამპანიამ კიდევ უნდა მოიხმაროს მთავრობა და ერთი რვა მილიონამდის მანათი კიდევ წააჭყლიტოს უიმისოდაც მეტად ძვირფასად დამჯდარ გზასა.

ჩვენ ზევითაცა ვთქვით, რომ ჯერ-ჯერობით არაფერს ვიტყვით ბ. ტვედელის ახალს პროექტზე, რომელთანაც ძალიან დაკავშირებულია ბ. სტრუვეს წინადადება. მხოლოდ იმას კი ვიტყვით, რომ ამიერ კავკასიის რკინი-გზამ თუნდა შეიძლოს ამ **17—18** მილიონის გადატანა, მასუკან მაინც გაუჭირდება მთელის ევროპის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, როდესაც ეს მოთხოვნილება ერთი-ორად—სამად იმატებს და, მაგ., **17—18** მილიონის მაგიერ დასჭირდება **40—60** მილიონი ფუთი. მაშინ, როდესაც ბ. ტვედელის ნავთის მილებს ეს გაჭირვება არ დაადგებათ.

ჩვენის მხრივ უნდა ჩვენც გამოვაცხადოთ სურვილი, რომ ძალიან კარგი იქნებოდა, უკეთუ ბ. ტვედელის პროექტი კანცელარიების საბძანებლიდამ გამოვიდოდა გარეთ და შეიქმნებოდა ჟურნალ-გაზეთებისთვის გასარჩევ და გამოსაკვლევ საგნად.

—— გორიდგანა გვწერენ, რომ პირველს მარტს იქ მისულა თბილისის გუბერნატორი, როგორც ხიდის ისე ლიახვის დამბის დასათვალიერებლად. ხიდის ამბავი უკვე იციან ჩვენმა მკითხველებმა; დამბასაც თურმე ისე სახელდახელოდ აკეთებენ, რომ თუ პატარა წყალმა იმატა, მისი შემაგრება შეუძლებელი იქმნებაო.

—— ვისაც კი თელავსა და სიღნაღს შუა უვლია, ნახული ექნება, რომ გამოღმა კახეთს ურიცხვი ხევები ჩამოუდის, რომელნიც ჩვეულებრივ დამშრალნი არიან, მაგრამ გაზაფხულობით ისე მიდიდდებიან, რომ არამც-

«დროების» ფელეტონი, 6 მარტი.

## ორიოდე სიტყვა სასულიერო წოდებაზედ და, სხვათა შორის, სვიმონ გეზიაშვილისაგან შედგენილი წიგნი: «სწავლა მართლ-მადიდებრივს ღვთის მსახურებაზედ».

ქრისტეს მოციქულებიდამ მოკიდებული დღემდის სასულიერო წოდებას ჰქონდა და აქვს ტვირთად აკიდებული—იზრუნოს ხალხის ზნეობითს მხარეზე. ამ წოდებამ დანერგა ქრისტიანული რელიგია და ქრისტეს სწავლაზე დაამყარა ეკლესია. ზნეობრივი ცხოვრების ამ ორ ფაქტორს დიდი დაკვირვება უნდა, რომ გაიგოს კაცმა, თუ რა სამსახური გაუწია კაცობრიობას ზემოხსენებულ ფაქტორთა დამაარსებელმა დასმა.

სასულიერო წოდებამ მეტის-მეტად ისახელა თავი ევროპიელ ხალხთა ალრევის დროს: როდესაც კლასიკური ქვეყანა იმხობოდა, როდესაც ბრძოლის ველი შეიქმნა ხალხთა ბედის გადამჭრელი, მთელი ევროპა ომიანობის საძირკველზედ ჰფუძნდებოდა და სისხლით მორწყულს საფუძველზედ აშენებულს ქვეყანაში უნდა დამღვრჩვალიყო ძლიერისაგან უძლური,—აი, სწორედ ამ დროს გამოიჩინა თავი სასულიერო წოდებამ: ქრისტეს სწავლით შეიარაღებულმა დაიწყო ქადაგება ღმობიერს მორჩილებაზე, ქრისტიანობრივს მოთმინებაზე, ძმობაზე და ურთიერთობის სიყვარულზე.

რა სარგებლობა მოიტანა ამ ქადაგებამ? საეკლესიო მწერლების გარდა, ამ კითხვის პასუხს გვაძლევენ წარჩინებულნი მეცნიერნი—მილლი და ბიზო. ისინი დაჭეშმარიტებით გვარწმუნებენ, რომ სასულიერო წოდებამ დიდი სამსახური გაუწია მაშინდელს კულტურასო. მართლაც, ბარბაროსთ შემოსევის დროს, როცა ევროპის სამეფოები აირივნენ, ხალხნი განადგურდენ და დაწიოკდენ—აღარ მოიძევებოდა ისეთი წერტილი, რომლის გარშემო ევროპიელთ შესძლებოდათ მოჯგუფება და დაცვა თავიანთ გონების ნაწარმოებისა. აი, ამ დროს სასულიერო წოდებასა აქვს მტკიცე ორგანიზაცია—ეკლესია, რომელსაც თვის ფრთეთა ქვეშე შეუხიზნებია ევროპის უძვირფასესი გონების ნაწარმოები. იფარავს კულტურას, რაც ძალი და ღონე აქვს ბარბაროსთაგან, რომელნიც ერთი ყბის მოქნევით შთანთქავდენ წარსულ საუკუნეთა მონაგარს, თუ კი ამ წოდების სასულიერო კვერთხს არ შეეჩერებინა ბარბაროსთა ფარ-ხმალი. ბარბაროსთა გაბრაზებულს და გამხეცებულს ყბას ვერ გადაურჩებოდა ევროპა, რომ სასულიერო წოდებას არ დაეხსნა იგი.

ოქრო-ქსოვილით მოსილი ეპისკოპოსი და მხეცთა ტყავით შემოსილი მწირი, ტალახით გათხუპნილი მორჩილი აღმოჩნდენ მეფეებზე უძლიერესნი; ესენი ჯადოსანსავით ჰკრძალავდენ ველურს გერმანიელს,—როცა ის აღიძროდა წმიდა წმიდათასა წასაბილწველად, სასულიერო წოდებისაგან დაფთხობილი, იგი თავის თავს ეკითხებოდა—ვაი, თუ რომელიმე მწირის წყევის მეოხებით სამხვერპლოს ძირში კისერ-მოგრეხილი და თავ-რეტ-დასხმული დავეცეო. ეს ეჭვი აჭერინებდა თავს გამხეცებულს მხედარს და ხელ-უხლებლად არჩენდა ყანებს, სოფლებს და ქალაქებს, რომელნიც სასულიერო წოდების მფარველობის ქვეშ იმყოფებოდენ.

ამას გარდა, სასულიერო წოდების წარმომადგენელნი: მიტრა-ხურული ეპისკოპოსნი და თავ-გაპარსული აბატი გვერდს უსხდენ თმა-გრძელ მხე-

[library stamp]

თუ უშლიან მისვლა-მოსვლას,—სოფლებში შევარდებიან და წაიღებენ ხოლმე, რაც კი რამ გზაზედ მოხვდებათ: ლობე-ყორეს, შენობებს, შინაურ პირუტყვებს და ხანდისხან ადამიანებსაც. სოფლის მოხელეებისა და ადმინისტრაციის ვალია, რომ ვიდრე ამ სოფლებს ეს უბედურება დაატყდებოდეს, საშუალება იქმნეს მონახული მის ასაცილებლად და ამ ხევების შემაგრებას შეუდგნენ, თორემ რა კი საქმე წახდება, მაშინ გვიანღა იქნება სინანული.

⟿ სოფ. აბაშიდამა გვწერენ, რომ იქ ერთს ვაჭარს გაუმართავს ნავთის შესანახი ადგილი სოფლის მოშორებით და გირვანქა ნავთს $1^1/_2$ კაპეიკად გაყიდვას უპირობს თურმე. ეს არ მოსწონებიათ იქაურ ვაჭრებს და მაზრის უფროსთან უჩივლიათ ამ მოვაჭრეზედ, რომ ბაზარში ისეთს ალაგასა აქვს ნავთის შესანახი გამართული, რომ საშიშია ცეცხლის გაჩენისთვისაო. იმედი გვაქვსო, რომ მაზრის უფროსი მიაქცევს ყურადღებას, თუ რა მდაბალმა განზრახულებამ გამოიწვია ამ გვარი საჩივარიო.

⟿ თელავიდამ გვატყობინებენ, რომ იქ 17 თებერვალს ყოფილა წარმოდგენა სცენის მოყვარეთა, და თუმცა კარგად აუსრულებიათ მოთამაშეთ თავიანთი როლები, მაგრამ პიესების სისუსტეს («ქაპიშონი» და «ძალად ქორწილი») უვნია წარმოდგენისათვის. წარმოდგენის დროს პატარა უსიამოვნო შემთხვევაც მოხდარა კულისებში. თუმცა საქველმოქმედო განზრახვით იყო გამართული წარმოდგენა, მაგრამ მ. რ—კისას პირველში მაინც ერთი თუმანი მოეთხოვა გასამრჯელო და წარმოდგენის საღამოს კი გამოეცხადებინა, რომ თუ მომცემთ ორ თუმანს ვითამაშებ, თუ არა და არაო. რა გაეწყობოდა; გამგებელნი იძულებულნი გამხდარან მ. რ—კის უმართებულო «კაპრიზი» შეესრულებინათ.

⟿ გაზ. «ნოვოსტის» სიტყვით, სახელმწიფო ქონებათა მინისტრს მიუცემია ნება, რომ დრო გამოშვებით მოახდინოს კრება ნავთის-მწარმოებელთა კავკასიის მთავარ-მმართებლის თანხმობით. ეს კრებები იქ უნდა შესდგენ, სადაც უფრო მარჯვეა და მათში მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი მადნეულობის მცოდნე პირნი და აგრეთვე წარმომადგენელნი იმ რკინი-გზებისა, რომელთაც ნავთი დააქვთ. თავმჯდომარედ კრებებზე იქნება სახელმწიფო სამინისტროსაგან დანიშნული პირი.

⟿ მეორე გაზეთის «ს.-პეტერბ. უწყებების» სიტყვით, რადგან კავკასიაში მეტად დაეცა რკინისა, ვერცხლის, სპილენძის და ქვა-ნახშირის მადნეულობის წარმოება, ამიტომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსვე განზრახვა აქვს ხელი შეუწყოს მადნეულობის შემმუშავებელ კომპანიებს კავკასიაში.

⟿ ამ დღეებში ვაცნობეთ მკითხველებს, რომ ბ. ი. წინამძღვრიშვილს 25 თებერვალს შეუტანია სამეურნეო საზოგადოებაში წინადადება შესახებ ზოგიერთა ცვლილებებისა. წინადადების ავტორმა დაგვავალა და გადმოგვცა თავისი წინადადება, რომელიც აქ სიტყვა-სიტყვით მოგვყავს:

«კავკასიის სამეურნეო საზოგადოება თანახმად თავის წესდებისა, დამტკიცებულისა ხელმწიფე იმპერატორისაგან 9 თიბათვეს 1860 წელსა, ვალდებულია იქონიოს საფუძვლად თავის კეთილ წარმატებისათვის სამეურნეო ინტერესი მთელი კავკაზის ხალხისა: გაუმჯობესობა იმის სასოფლო სამეურნეობისა და გაუმჯობესობა ეკონომიური მდგომარეობისა.

«სამეურნეო საზოგადოების წარმოება, თვისის მაღალ მნიშვნელობით ჩვენის ქვეყნისათვის მრავალ გვარი უნდა იყოს. დღევანდლამდე ჩვენი საზოგადოება თავის მალ-ღონეს ალევდა მარტო მეცნიერების საგნების გამოკვლევას და გვერდს უხვევ და პრაქტიკულ მიმართულებას.

«საგანი საზოგადოებისა, მარტივად გამოხატული საზოგადოების დამაარსებელის ბრწყინვალე თავად ვარანცოვისმიერ წეს-დებაში, იყო კეთილ-დღეობა ხალხისა. თავადი ვარანცოვი—მანამ იგი მთავარ-მმართებლად ბძანდებოდა კავკასიაში—ცდილობდა ყოვლის ღონის-ძიებით გაუმჯობესებინა და გავრცელდა მთელს კავკასიაში სასოფლო მეურნობა. იმის შემდეგ დაირღვნენ იმისი კეთილ-განზრახვანი და სრულებით ამოიფხვრენ მისნი კეთილ-დაწყობილებანი. ამისთანა მოკლენამ, ჩვენდა სამწუხაროდ, გასწყვიტა ყოვლადვე კავშირი ხალხისა და საზოგადოების შუა. სამეურნეო საზოგადოების წარმოება რჩება იმავე სახლში, სადაც მას აქვს სხდომა,—იმისი განჩინებანი, ჩაწერილნი პროტოკოლებში, მიუწდომელნი არიან ხალხისათვის.

«ჩვენმა საზოგადოებამ, თავის მოვალეობის შესაფერად, უნდა გამოიკვლიოს ხოლმე როგორც თეორიულის მხრივ საგნები, აგრეთვე მისდიოს ნამდვილს პრაქტიკულ აზრსა, დაუახლოვდეს ხალხის გაჭირვებას, იმის შავ-ბედს, და მოიმხროს ის საშუალებანი, რომელნიც დაიხსნიან ჩვენს მხარეს მძიმე გაჭირვებიდგან.

«ამ გვარი მიმართულებით მარტო ჩვენ—სამეურნეო საზოგადოების წევრთ—შევიძლიან ვუშველოთ ხალხს და შევუმსუბუქოთ ეს გაჭირვება. ჩვენი მოვალეობის გასაადვილებლად მე ვბედავ განვუცხადო კავკასიის საზოგადოებას ჩემი თხოვნა:

«ა, შესადგენად საზოგადოების ხუთას-თუმნიანი თანხისა გადაიდოს ყოველ-წლივ რამე ნაწილი იმ ფულიდამ, რომელიც ყოველ წლივ შემოუვა საზოგადოებას *).

«ბ) საზოგადოებამ დაიბაროს საუკეთესო თესლეულობა, მცენარენი, სასოფლო მეურნობის იარაღები, მანქანები და დაურიგოს მაზრებში მამულის მეპატრონეთ და გლეხთა საზოგადოებას, რომელთაც ჩვენი საზოგადოება ღირსეულად შერაცხავს, ან უფასოდ, ანუ იმ პირობით, რომ მათ მცირე ფასი დარიგებულ ნივთებისა დაუბრუნონ საზოგადოებას, ნაწილ-ნაწილ, რამდენიმე წლის განმავლობაში;

«გ) ხალხს რომ ჰქონდეს ადგილობრივ დამრიგებელი და ამხსნელი იმის სასოფლო მეურნობისა გაჭირვების დროს, იარაღების მოხმარებაში, ანუ სხვა გარემოებაში, საჭირო არის ჩვენმა საზოგადოებამ მოიმხროს ჯამაგირით მცოდნე პირნი: ორი აგრონომი, ერთი პირუტყვთა-ექიმი და ერთი იარაღების მმართველი.

«დ) მანამ ჩვენს საზოგადოებას გაუმრავლდება თავისი საშუალება, ვიშუამავლოთ მმართებლობის წინაშე, ჩვენის პრეზიდენტის შუამავლობით, დაგვითმოს სახელმწიფო ქონების დეპარტამენტმა ის ორი აგრონომი, რომელნიც იმის ხელქვეით არიან და დღეს ჩვენს მხარეში მსახურობენ;

«ე) რადგანაც ჟამთა-ვითარება მოითხოვს, რომ ხალხს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სასოფლო მეურნობის, სახელოსნო და ტეხნიკური ცოდნა-სწავლა, ამისთვის უმორჩილესად ვთხოვოთ ჩვენს პრეზიდენტს, თავადს მთავარ-მმართებელს, გვიშუამავლოს მმართებლობის წინაშე იმაზედ, რომ ყოველ გუბერნიაში გაიხსნას თვითო სამეურნეო სკოლა, მესამე ხარისხისა, იმ ნორმალური წესდებით, რომელიც ეხლა ხანს ხელმწიფე იმპერატორმა დაამტკიცა, რასაკვირველია, იმ ცვლილებით, რომელსაც ჩვენი მხარე მოითხოვს **).

«ვ) შესამატებლად საზოგადოების თანხისა შესდგეს დროებით გამოცემა «საზოგადო კრებების პროტოკოლებისა. ამ წიგნების გამოსაცემად დანიშნული ფულიდამ ერთი ნაწილი შეემატოს სა-

*) როგორცა სჩანს, დღევანდლამდე საზოგადოებას დაუხარჯავს თითქმის სამასი ათას მანეთამდე, ხალხს კი შემალება არა რაიმე არ მისცემია.

**) ნორმალური წესდებით ეძლევა ყოველ სკოლას ხუთასი დესიატინა სახელმწიფო მიწა და ყოველ წლივ ხაზინიდგან სამასი თუმანი.

---

დარს მთავრებს, მეფეებს და, როგორც ღვთის-მეტყველნი, მდივანნი, ფილოსოფოსნი და ვეზირნი თათბირობდენ მათთან და ქრისტიანობრივს, ჰუმანნიურს ბეჭედს ასვამდენ მათს პოლიტიკას. არც ერთის მეფის და მხედართ-მთავართა ბრძანება არ გაიცემოდა ეპისკოპოსთა და აბატთა დაუკითხველად, რადგანაც მხოლოდ მათ შეეძლოთ კალმის ხმარება და მსჯელობა.

სწორედ სასულიერო წოდება იყო მაშინდელი ზნეობითი პოლიცია, ამბობს ტენი; ეს პოლიცია თუმცაღა განუწყობელი და უსრული იყო, მაგრამ ის მაინც შესძლო მან, რომ ევროპას აშორა მონგოლური ანარხია—უთაურობაო. როცა ბარბაროსები ევროპას თავს-დაესხნენ, ეპისკოპოსები შეიარაღებულნი იყვნენ detcnsor cireitatis (სამეფოს მფარველის) სახელით და პატრონის უფლებითაო,—ამბობს მილლი,—ერთი სიტყვით, სასულიერო წოდებას უფრო ბევრი სარგებლობა მოჰქონდა, ვიდრე ზარალიო.

ჩვენი სამღვდელო დასიც უწინდელ დროს მხარ-და-მხარ მისდევდა ჩვენს ცხოვრებას. ისიც იმ ჭაპანს ეწეოდა, რომელსაც ჩვენი ერი. ერის მთავარნი ასე ეკითხებოდენ სამღვდელოების წარმომადგენელთ გაჭირვებისა და დაღონების დროსაც:

> შენ რას ბრძანებ, მღვდელ-მთავარო?
> სიტყვა შენი გვილირს მკვიდრად,
> მართებს, თუ არ ერისათვის
> მეფეს თავი გასაწირად?

და ეს ზნეობის გუშაგიც შემდეგს პასუხს აძლევდა ხოლმე ხალხის გმირს:

> გვჭირდება და გირჩევ თავ-გაწირვას,
> რაკი რომ ეს დღე გვეწვია.
> მოყვრისათვის თავ-დადება
> ქრისტე ღმერთის ანდერძია.
>
> —
>
> გვჭირდება და გირჩევ ღვთის სახელით,
> ხორცი დასთმო სულისათვის,

უკვდავება არ დაჰკარგო
წუთი სოფლის გულისათვის.

დიაღ, ჩვენი სამღვდელოება მუდამ თავის შესაფერს სიმაღლეზე იმყოფებოდა. ის მხარში უდგა საერო მმართებლობას. ჰქადაგებდა, მეფესთან თათბირობდა, ღვთის-მეტყველობდა; მტრის დასხმის დროს მოწინავე ჯარს წინ მიუძღოდა, მარჯვენა ხელში ჯვარი ეპყრა და მარცხენათი ალმა აკმევდა, თითქო საკმევლის სუნით მტრებისაგან მოწამლულს ზნეობას ასპეტაკებსო. მონასტრებში და მთათსავანეებში ის იკვლევდა მეცნიერებას, აწარმოებდა პოეზიას და არხიტექტურას. ციციანოვის კოჩუბეისადმი *) მიწერილობაში (15 ივნისს 1803 წ.) აი, რასა ვკითხულობთ: საქართველოს აღრეულობამდის ქართლის მონასტრებში 700 ბერი ითვლებოდა, რომელთა უმეტესობა ასწავლიდა პოეზიას, მათემატიკას და არხიტექტურასაო. თვით უკიდურესი ჩვენი მდგომარეობის დროს, ანტონ კათალიკოსი შეიქმნიდა ახალ ხანას ჩვენის სასულიერო და საერო განათლებისას (თუ ბედის ჩარხი უკუღმა არ დაგვტრიალებოდა). არა ნაკლები საქმე გააკეთა ზაიოზმაც.

რაღა ბევრი ვილაპარაკოთ—იყალთოელები, ნეკრესელები და ათონელები დროის შესაფერად დიდ საქმეს აკეთებდენ ჩვენი ზნეობითი ძალის გასამტკიცებლად, ჩვენის გონების გასავითარებლად, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ვითომც მათ უფრო ვრცელი ფილოსოფიური განათლება ჰქონდეთ, ვინემ ეხლანდელს ჩვენს მაღალ და საშუალ სასწავლებლებში აღზრდილ პირთ.

რავდენად ბედნიერია ის ერი, სადაც ყოველი დასი და წოდება თავის თანამდებობას და მოვალეობაი სა-

*) Акты Кавказ. археогр. ком. 266 стр. т. II.

ზოგადოების თანხას, დანარჩენი ფულით კი გამოიცეს სახალხო წასაკითხავად, მდაბიურ ენაზედ, სხვა-და-სხვა საუკეთესო წიგნები სასოფლო მეურნობის სწავლაზედ:

«ზ) ჩვენს საზოგადოებას ხალხზედ რომ ჰქონდეს კეთილი გავლენა და თვითონაც კეთილად იწარმოოს, საჭირო არის ჩვენი საზოგადოება განიყოს რამდენსამე განყოფილებად; ყოველს განყოფილებას უნდა ჰქონდეს თვისეული საგანი სასოფლო მეურნობის სწავლისა. ამ განყოფილების წევრთა კვირაში ერთხელ უნდა გამართონ კრება, გამოიკვლიონ საჭიროება ხალხისა და შემდეგ მოახსენონ მთელს საზოგადოებას, თუ რა საშუალება იქმნება საკეთილო ხალხისათვის, რომ აღსრულებაში მოყვანილ იქმნას».

## «დროების» კორესპონდენცია.

**სოფ. ცხინვალი, 25 თებერვალს.** «დროების» მკითხველებს გაგონილი ექნებათ ცხინვალის კეთილი მდებარეობა და მისი მნიშვნელობა. ზემო-ქართლისა და მეტადრე ოსების ალებმიცემობისათვის. მაგრამ ეს ბუნებისაგან უხვად დასაჩუქრებული და ხალხით სავსე მხარე მოკლებულია ყოველივე აუცილებელი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. მარტო ცხინვალში ხუთას კომლამდეა და ამ ხუთას კომლს არა ჰყავს ექიმი, არა აქვს რიგიანი გზა, რადგანაც პატარა ლიახვზედ ხიდი არ არის და გაზაფხულობით ბევრს იმსხვერპლებს ხოლმე ეს მდინარე. არ მოდის აქ ფოსტა, არ არის ტელეგრაფი.

და ეხლა, როგორც გვესმის, სანდო პირებს გარდმოუციათ ცხინვალელებისთვის, რომ მმართებლობას განუზრახავს ექიმის გამოგზავნა, მიუღწევია რა იმის ყურამდე, რომ ბევრი ხალხი იხოცება აქ უპატრონობით. წარსულს კვირას ერთი ახალგაზდა 18 წლის ქალი და ერთიც ახალგაზდა ყმაწვილი სალ-კალამათნი ორ დღეში გათავდნენ, არ იყო პატრონი—საშუალება მიელოთ რამე და ამათი წამალი ეს იყო, რომ ყინულებს აყრიდენ თავზედ.

ხმა ისმის აგრეთვე, რომ ფოსტისა და ტელეგრაფის კანტორების გახსნას აპირობენ; ამ ხმაზედ, სხვათა შორის, ვ. ორჯონიკიძეს გამოუცხადებია, რომ, თუ მართლა ეს კანტორები გაიხსნება, სახლს უფასოდ ვაძლევ სამი წლითაო. ღმერთმა ჰქნას, რომ, როგორც ეს იმედი, ისე ხმები ექიმის დანიშვნაზედ, გამართლებულიყვნენ.

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო!

«დროების» № 46-ში დაბეჭდილია «თეატრის მოყვარის» წერილი «დრამატიული საზოგადოების მმართველობასთან» და, სხვათა შორის, მეცა ვარ დასახელებული. პ სუხად. აი, რას ვიტყვი: დრამატიული საზოგადოების მმართველობის სეკრეტრად მე ვიყავი შარშან 1883 წლის მარტის თვემდის. მარტს აქეთ მე არც წევრად ვრიცხავ ჩემ თავს და არც სეკრეტრად და ეს ჩემი უარი ამ თანამდებობაზედ მაქვს გამოცხადებული თავმჯდომარისათვის, პეტრე იოსების ძე უმიკაშვილის პირით. აცნობა ამან თუ არა, ეგ მე არ ვიცი, იმიტომ რომ თითქმის ათი თვეა, რაც მე ქალაქიდამ გამოვედი და სოფლადა ვარ ფეხ-უცვლელად. ჩემგან არავინ, არც ერთმა წევრმა არ ჩაიბარა ჩემი პორტფელი მმართველობის საქმეებით და ეს პორტფელი მე მაქვს აქამდისაც. ვინც არის ახლა სეკრეტარი, რასაკვირველია იმას ჩავაბარებ. რაიცა შეეხება საზოგადოების კუთვნილებას, ყოველისფერი ებარა ჩემს დროს, ესე იგი, შარშან, ჩემს გამოსვლამდის, ბატონს პეტრე იოსების-ძე უმიკაშვილს, რომელსაც კლიტის გასაღები ხელში ჰქონდა. ვიმეორებ, რომ ამ ათს თვეში, რაც აქა ვარ, არა ვიცი რა, ვინ რა აბარია და სად რა იმყოფება.

კონსტანტინე ყიფიანი.

მარტის 1-ს, 1884 წ. ს. ქვიშხეთში.

## ტელეგრამები

საკუთარის კორესპონდენტისაგან.

4 მარტს.

**თელავი.** პირველი კრება თელავის თავად-აზნაურთა შვილების აღზრდის შესახებ ვერ შესდგა; მეორე კრება 18 მარტს დაინიშნა; ეტყობა, რომ ყველას სურს ფულების გაწერა.

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

3 მარტს.

**პეტერბურგი.** ხმებია, რომ შინაურ საქმეთა სამინისტროსაგან შედგენილი პროექტი გლეხების გაყრაზე სახელმწიფო რჩევაში შეუტანიათ. პროექტში ნათქვამია, რომ გლეხების გაყრა გლეხთა საზოგადოებათა ნება დართვით უნდა ხდებოდეს; თვითნებითი გაყრა ნამდვილი არ უნდა იყოს, და უფლება ყრილობათა განაჩენის გაუქმებისა და შეცვლისა უნდა ჰქონდეს მხოლოდ მაზრის საგლეხო საქმეთა დაწესებულებას.

**ლონდონი.** უკანასკნელს ბრძოლაში ინგლისელებს დაეხოცათ 104 კაცი, 111 დაეჭრათ და 19 კაციც დაეკარგათ; მტერს 2000 კაცი მოუკლეს. გრაჰამი შტაბითურთ სუაკიმში დაბრუნდა.

**ბერლინი.** ბისმარკმა დღეს რეიხსტაგში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ამტკიცებდა უბედურ შემთხვევათაგან მუშების დაზღვევის საჭიროებას; კანცლერი ურჩევდა პარლამენტს, რომ ყოველი უთანხმოება დაივიწყოს მან და დაეხმაროს მმართებლობას მუშების და სამუშავოს მიმცემთა შორის მშვიდობიანობის დამკვიდრებაში.

4 მარტს.

«ს. პეტერბურგის უწყებები» იტყობინებიან, რომ ხმებია, ვითომც პოლიციას ენიჭებოდეს უფლება პირ-და-პირ თვითონ იყოს გამამტყუნებელად სამჯავროს წინაშე იმ შემთხვევაში, თუ ქალაქების საბჭოთა სავალდებულო დადგენილებანი დარღვეულ იქმნებიან. ეს საშუალება იმ გარემოებამ გამოიწვია რომ, ხშირად აღნიშნულთა დადგენილებათა დარღვევა რჩება დაუსჯელად ქალაქების გამგეობათა დაუდევრობისა გამო.

გარდაწყვეტილია, რომ შემოდგომაზე გაიხსნას კავკასიაში იმ გვარი ღვინის წარმოების სკოლები, როგორნიც ზოგიერთა პრუსიის და საფრანგეთის პროვინციებში არსებობენ.

**მოსკოვი.** აქაურმა სასოფლო მეურნეობის საზოგადოებამ გამოსთქვა აზრი, რომ სასოფლო მეურნეობაში სახმარ იარაღებს და მაშინებს ბაჟი არ უნდა ედვათ; საზოგადოების მომხსენებელი კი ამტკიცებდა, რომ 90 კაპ. ბაჟი უნდა დაედვასო. საზოგადოებამ ერთხმად ამოირჩია საპატიო წევრად სახელმწიფო ქონებათა მინისტრი.

**ვენა.** გუშინ გათავდა საქმე შენკისა და იმის ორთა თანაზიართა, რომელთაც დახოცეს რამდენიმე მოსამსახურე-ქალი, რათა დაენარჩუნებინათ მათი ფულები. ყველა დამნაშავეთ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს.

**ლონდონი.** ლაბუშერმა წინადადება შეიტანა საზოგადოებათა პალატაში იმის შესახებ, რომ დაად-

---

ზოგადოების წასამართებლად მიჰმართავს, იმდენად უბედურია ის საზოგადოება, რომლის წევრთა შორის უთავბოლობა და ერთმანეთის გაუგებლობა ჰსუფევს. ან კი როგორ უნდა წაიდგას წინ ფეხი ისეთმა საზოგადოებამ, სადაც ერთის ალმახნულს მეორე დალმა ჰფარცხავს? მაგრამ თუ ჩვენი სამღვდელოება ხელს მისცემს სხვა წოდების პირთა, რომელნიც ხალხის განვითარებისათვის იღვწიან, მაშინ დარწმუნებულნი უნდა ვიყვნეთ, რომ ჩვენი ცხოვრება ცოტათი მაინც ნაბიჯს გადადგამს. ყველას თავის წრეში მუშაობა და რიგიანად მოვალეობის აღსრულება შეჰშვენის. ნუთუ ამოდენი ჰაპან-წყვეტა დასჭირდებოდათ ორ-სამ პატივცემულ პირთ ჩვენი გალობის აღსადგენად, რომ თავის დროზე გამოეღვიძა ჩვენს სამღვდელოებას?! ნუთუ ერთი რიგიანი საღმრთო ისტორიის და კატეხიზმოს შედგენა და გამოცემა ვერ შესძლეს აქამომდე აკადემიის მაგისტრებმა? მე მგონი, ურიგო არ იქნება ეს მაგისტრები და მაგისტრანტები მიბაძავდენ თუნდ პატივცემულს მღვდელს ს. ბევიაშვილს, რომელმაც ამ დღეებში გამოსცა «სწავლა მართლმადიდებრივს ღვთის მსახურებაზე».

ამ წიგნის გამოცემა მეტის-მეტად შესანიშნავი მოვლენა არ არის, მაგრამ რადგანაც სასულიერო წოდების პირნი ძვირად იღვწიან ამ ასპარეზზედ, არ გვინდა ეს მოვლენა შეუმჩნეველად დავსტოვოთ, მით უფრო, რომ ამ წიგნმა მოგვცა საბაბი მთელის წოდების მოღვაწეობაზედ ლაპარაკისა. წიგნი მშვენიერად არის გამოცემული, ადვილად გასარჩევი შრიფტით და სურათებით და სასიამოვნო გარეგნობით. მხოლოდ აქა იქ ნათარგმნის ენა კოჭლობს, მაგრამ ეს ისეთი საზოგადო ნაკლულევანება ყველა ჩვენი მთარგმნელებისა, რომ ჯერ-ჯერობით ეს შეცდომა მიეტევებათ, თუ მთლად სამზღვარს არ გადააბიჯა შეცდომამ. მთელს წიგნში მხოლოდ ამ გვარს შეცდომებსა ვხედავთ: «ყველა ეს ნივთები იყვნენ უნდა» (უნდა იყვნენ), «მაგიერ წყლისა» (წყლის მაგიერ), «რომლებითაც რომ ხელძღვანელობდეს არქიერი უნდა», «... თავსახური, მომსწავებელი გამარჯვებისა ცხოვნების მტერს ეშმაკზედ» და სხვანი. ჩვენ გვჯერა, რომ თუ პატივცემულს მთარგმნელს გულდამჯდარად ეფიქრა ქართული ენის ხასიათზე და საქცევზე რუსული ფრაზების გადმოღების დროს, ნათარგმნი მშვენიერად გამოვიდოდა, მაგრამ სახეში უნდა ვიქონიოთ ის გარემოებაც, რომ ეკლესიური სამეცნიერო წიგნის გადმოღება უცხო ენიდამ ძლიერ ძნელია და ენის სიწმინდის დაცვა იშვიათად ხდება ხოლმე, და, ალბად, ბეგიშვილსაც ესე მოსვლია. მაგრამ ამ წიგნს სრულიადაც არ შეუშლის ხელს ეს ნაკლულევანება და, ცხადია, ადვილად გავრცელდება ჩვენ სასულიერო წოდებაში. ეს წიგნი ერთ-ნაირად საჭიროა სწავლულისა და უსწავლელი მღვდლისათვის, განსაკუთრებით მათთვის, რომელნიც ამ გვარად ლაპარაკობენ: გუშინ აბედნიაზე ისე გრომკოდ შემოვძახე, რომ კინაღამ იკონოსტასი და ალტარი შევარყიეო. და «იმ ღრმა მორწმუნე ერისათვის, რომელიც დღეს თავის სარწმუნოების ჭეშმარიტებათა სუსტი მცოდნეა და მართლმადიდებრივს მსახურებას გადაჩვეული». დიაღ, იმ ერისათვის ამ გვარი წიგნი სანთლით საძებარია.

დასასრულ, ვისურვებთ, რომ ჩვენს სასულიერო წოდებას, მღვდელი იქნება, თუ ბერი, სემინარიელი იქმნება, თუ აკადემიელი, ნაყოფიერად ემუშავნოს თავის მესაფერს წრეში.

გინონ რეზოლიუცია და იმაში გამოაცხადონ, რომ არ არის დამტკიცებული საჭიროება იმ აუარებელ მსხვერპლთა, რა მსხვერპლნიც ინგლისს მოუნდა სუდანის დასამშვიდებლად. ეს წინადადება, რომელიც გაკვრით ჰკიცხავს კაბინეტის პოლიტიკას, უარჰყო პალატამ 111 ხმის უმეტესობით 94 წინააღმდეგ. ბაასის დროს დილკმა აგრძნობინა პალატას, რომ მმართებლობა, თუ საჭიროება იქნება, დაითხოვს პარლამენტს.

5 მარტს.

პეტერბურგი. გაზეთები ამბობენ, რომ უმეტესობა ბირჟის კომიტეტებისა რომელთაც ეკითხათ აზრი ფინანსთა სამინისტროსაგან შესახებ სამზღვარ-გარეთულ თუჯზედ ბაჟის დადებისა, იმ გარდაწყვეტილებას ადგას, რომ ფუთს უხმარს თუჯზედ 15 კაპეიკზედ ოქროთი ნაკლები ბაჟი არ დაედოს; ეს ბაჟი ეხლავე შემოღებულ იქმნას; ამის გვალობაზედვე მოემატოს ბაჟი თუჯის საქონელსაც; არავითარი შეღავათი არ მიეცეს, და ეს ბაჟი გავრცელდეს ფინლიანდიაზედაც ამ აზრს ეწინააღმდეგებიან მხოლოდ ოდესის, რიგის და ლიბავას კომიტეტები. ოდესის კომიტეტს ეხლანდელი ბაჟი საკმაოდ მიაჩნია და ჰქონია, რომ რუსეთში თუჯის საქმე უფრო მაშინ გაუმჯობესდება, თუ გადატან-გადმოტანა გაიაფდება, ვიდრე უცხო ქვეყნის თუჯზე ბაჟის დადებით. რიგისა და ლიბავის კომიტეტების აზრით კი, რადგან ბალტიის პორტები შორს არიან მადნეულობაზე და გადატან-გადმოტანა ძვირადა ჯდება, თუნდა ფუთზე 15 კაპ. ბაჟი დაედოს, მაინც უცხო-ქვეყნის თუჯი რუსეთისაზე იაფად დაჯდება.

## განცხადებანი

საკონკურსო გამგეობა შეუძლებელი ვალის პატრონის გაბრიელ იაგორის-ძის შადინოვის საქმეებისა ამით აცხადებს, რომ, თანახმად მოვალეთა საზოგადო კრების გარდაწყვეტილებისა, 10 თებერვალს დანიშნულია გაყიდვა, ნებაყოფლობით ფასად, შეუძლებელი შადინოვის უძრავ ქონებათა, რომელთაც შეადგენენ: ა) ერთი სახლი დოქტორების ქუჩაზედ; ბ) ერთი დუქანი სომხების ბაზარში და გ) ნახევარ დუქანი დახურულ ბაზარში ქ. თბილისში.

გაყიდვა მოხდება ამ წლის 18 მარტს შუადღის 12 საათზე საკონკურსო გამგეობის სადგურში ირაკლის ქუჩაზე სახლში № 12, ნაფიცი ვექილის მელევის სადგურში. ვისაც ჰსურს იყიდოს აღნიშნულნი მამულნი, შეუძლიანთ მიმართონ ცნობებისთვის ყოველდღე საღამოს 5 საათიდამ დაწყებული 8 საათამდინ საკონკურსო გამგეობის თავმჯდომარეს გ. ნ. მელევის, და ამასთანავე შეუძლიანთ სინჯონ გასასყიდი მამულები ადგილობრივ.

თავმჯდომარე კონკურსისა გ. მელევი
კურატორი ბ. ლებედინსკი.
(3—1)

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფრაგნიცა, საწყაო, სვები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფუხები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, კაქსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტოხები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—72)

## პ. წულუკიძის სტამბა

ქუთაისში

დაიბეჭდა და გამოვიდა ქართული

«კედლის კალენდარი»,

სადაც არის სომხური დღესასწაულების ცნობები და ისტორიული შემთხვევები.

ფასი სამი აბაზი

ას-ასობით მყიდველებს წესიერი ხატივა.

—

ისყიდება

«ვეფხის ტყაოსანი» შ. რუსთველის თხზულება სურათით, ათი შაური, უსურათოდ შვიდი შაური ას-ასობით მყიდველებს წესიერი ხატივა.

ნერსესიან სომეხთა სასულიერო სემინარიის რჩევაში 14 ამა მარტისას, საღამოს რვა საათზე მოხდება ვაჭრობა (განუმეორებლად) იჯარით გაცემაზე ერთის დუქნისა და სარდაფისა, რომელიც განსვენებული გრიგოლ შერგილოვისაგან არის შეწირული და რომელიც იმყოფება სომხების ბაზარში № 5. პირობების სინჯვა შეიძლება მზრუნველობის კანცელარიაში ყოველ-დღე, გარდა კვირა და უქმე დღეებისა, დილის 10 საათიდამ 12 საათამდინ.

(3—2)

## «გლახის ნაამბობი»

მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა

ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში ფასი 25 კაპ.

(3—2)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შავადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— „ | — — 3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალოშები— სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდის. (100—89)

საგლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვე აუარებელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის „ხელისათვის"—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ზუმაყნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, საპენი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბუზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწველი, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომადი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შროტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქქიმო აღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—54)

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 მარტიდამ 1 აპრილამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 გირ. | 5 კ. | |
| აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | 3 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის— | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის— | —1 | გ. | 9 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 10 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის— | —1 | გ. | — კ. |
| მეორის — | —1 | გ. | — კ. |

### რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილ ით.
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილისა.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
მარტო ხაშურიდამ მომავალი
თბილისში შემოდის
8 საათზედ დილისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის
თბილისში
2 საათ. და 30 წამ. დილისა.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Дозв. ценз. Тифлисъ. 5 Марта 1884 г. (ქ. ხელაძის სტამბა) Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.